

კობა წაქაძე — მ. ზარგარიანის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

# უბერებელი კობა

## გადამწყვეტი ბრძოლები გრძელდება

ბაკურიანი, 17 იანვარი (ტელეფონით). წლევანდელი ზამთარი სწორედ ისეთია, როგორსაც თეთრი ოლიმპიადისთვის სამზადისი მოითხოვს. უძლიერეს მოთხილამურეებს, რომლებიც რბოლებსა და ტრამპლინიდან ხტომაში საბჭოთა კავშირის თასებს (რაც მთავარია, საპოროს ოლიმპიადის საგზურებს) ეცილებიან ერთმანეთს, ბაკურიანი ხვავრიელი, მშრალი თოვლით შეხვდა.

ადრე ვწერდით, რომ საგზურების მაძიებლებმა აქ ძალები სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა თასების გათამაშებაში მოსინჯეს, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინ იყო. სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები გულმოდგინედ მუშაობდნენ, ქვეყნის ნაკრების წევრთა შერჩევისთვის.

განსაკუთრებით დაძაბული შუა იანვარი გამოდგა — 14-დან 18-მდე უნდა გარკვეულიყო ყველა სადავო საკითხი ხტომებსა და რბოლებში, რაც ყველას ერთნაირად აღელვებდა. სწორედ 14 იანვარს ისედაც უხვ თოვლს კიდევ თოვლი დაემატა, იდეალურად გამზადებული ტრასები და ტრამპლინი ჰელახლა მოსაწყობი გახდა. შეჯიბრების გადადება არც ერთი საათით არ შეიძლებოდა, ფეხზე დადგა ყველა, ვინც ტურნირებიდან თავისუფალი იყო. განსაკუთრებით დიდი ჯაფა სპეციალურ მანქანებს დაადგათ. 15 იანვარს სტარტები დროულად მოეწყო.

ამ დღეს თავდაპირველად სსრ კავშირის თასებისთვის ქალებს 10, ვაჟებს 15 კილომეტრზე რბენაში უნდა ებრძოლათ. მაგრამ „მფრინავ მოთხილამურეთა" ოლიმპიური გუნდის დაკომპლექტებისთვის პასუხისმგებელთა ინიციატივით, რათა ყოველგვარი შემთხვევითობა გამორიცხულიყო, გადაწყდა 70-მეტრიან ტრამპლინზე დამატებით ოფიციალური შეჯიბრების გამართვა (გეგმით, თასისთვის შეჯიბრება მხოლოდ 90-მეტრიან ტრამპლინზე უნდა ჩატარებულიყო).

ერთი სიტყვით, შაბათს არავის ეცალა. შეჯიბრებები დილიდან სალამომდე გრძელდებოდა და ჩვენც ამ თანმიმდევრობით მოგითხრობთ.

10 კილომეტრზე მორბენალ ქალთა ტურნირის სტარტზე საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. ფავორიტებიც საკმარისად იყვნენ. მაყურებლებს განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონებისა და პრიზიორების სჯეროდათ და არც შემცდარან. ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა. გადაწყვეტით რაიმეს თქმა მანამდე არ შეიძლებოდა, ვიდრე ფინიშთან ბოლო მონაწილე არ მივიდა.

გამონაკლისი მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი, იჟევსკელი გ. კულაკოვა („ტრუდი") იყო. მან სტარტიდანვე თავბრუდამხვევი ტემპი განავითარა, ისეთი, როგორსაც სათხილამურო სპორტში იშვიათად ვხვდებით. სწორედ ამიტომ ეს წუთიერი გატაცების შედეგი გვეგონა, მაგრამ მოვტყუვდით. კულაკოვამ ფინიშამდე კარგად იარა და I ადგილიც დაისაკუთრა (34.57,0). მან აპატიელ ლ. მუხაჩოვას („ტრუდი"), რომელმაც II ადგილი დაისაკუთრა, 58 წამი მოუგო. III და IV ადგილებზეც „ტრუდის" სპორტსმენები — გორკელი ვ. ოლიუნინა (36.07,0) და ლენინგრადელი ნ. ფიოდოროვა (36.23,0) გავიდნენ.

„ტრუდის" ქალთა გუნდმა ამ წარმატებით ქვეყნის თასი სანახევროდ გაინაღდა და ეჭვიც არ გვეპარება, რომ იგი 5 კილომეტრზე რბენაშიც ასეთსავე წარმატებას მიაღწევს. V და VI ადგილები გ. პილიუშენკოსა (შეიარაღებული ძალები, 36,35,0) და დ. გრიგორიევას (ყაზანის „ლოკომოტივი", 37.05,0) ხვდათ.

როცა ქალებმა რბოლა დაამთავრეს, ვაჟები 15 კილომეტრზე შუა ასპარეზობაში იყვნენ. ფინიშზე დისტანციიდან რბოლის მსვლელობის შესახებ ხშირად მოდიოდა რადიოგრამები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატები ისე იბრძოდნენ, როგორც მომავალ ოლიმპიელებს შეეფერებათ. ეს ტურნირის საბოლოო შედეგებმაც დაადასტურა: მოსკოველმა ვ. დოლგანოვმა (შეიარაღებული ძალები) და კიროველმა ი. სკობოვმა („სპარტაკი") ერთნაირი შედეგი — 47.34,0 — მოიპოვეს. პირველობა დოლგანოვს იმიტომ მიეკუთვნა, რომ იგი სტარტიდან სკობოვზე ადრე წავიდა და არ შეიძლებოდა ცალკეულ მონაკვეთებზე მეტოქის შედეგები სცოდნოდა. ასევე გაირკვა IV და V ადგილების ბედი. მოსკოვის არმიელმა ვ. ტარაკანოვმა სწორედ შეჯიბრების წესების ამავე პუნქტის წყალობით დაიკავა IV ადგილი თანაქალაქელ ვ. ვედენინთან („დინამო") ორთაბრძოლაში, ისე კი ორივეს 48.16,0 ჰქონდა. III ადგილზე გავიდა მოსკოვის დინამოელი ფ. სიმაშოვი — 48.14,0.

(დასასრული მე-2 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 12 (4522)

1972 წ. 18 იანვარი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

● ჰობარტი, 16 იანვარი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ა. მეტრეველმა და ო. მოროზოვამ მოიხვეჭეს უძლიერესის სახელი ტასმანიის შტატის ღია ჩემპიონატში. პირველმა ფინალამდე სძლია რ. კეისს (ავსტრალია), ფრანგ დომინგესს, ხოლო ფინალში ფარ-ხმალი დააყრევინა ვ. ნ. გოდრელს — 6:2, 6:4, 6:3. ო. მოროზოვამ ფინალური ბრძოლა მოუგო შ. შალაუს (აშშ) — 6:3, 6:3.

● მოსკოვი, 16 იანვარი. ცსკა-ს ჩოგბურთის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის ღია ჩემპიონატი. ქალთა ერთეულების ფინალში ბაქოელმა ე. ბირიუკოვამ მოუგო ალმაათელ მ. კრომინას — 6:4, 6:4. ვაჟებში მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა სძლია თანაქალაქელ ა. ვოლკოვს — 6:3, 3:6, 7:5. ვაჟთა წყვილებში უძლიერესი იყო კოროტკოვ—ეგოროვის დუეტი, შერეულში — კოროტკოვ — კრომინა, ქალებში — მ. კული (ტალინი) — ა. ერემეევა (ლენინგრადი).

● ულიანოვსკი, 16 იანვარი. აქ გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ბურთიან ჰოკეიში. მეორე ტურში შვეციის გუნდმა დაამარცხა ფინელები — 2:0, სსრ კავშირის ნაკრებმა — ნორვეგიის სპორტსმენები — 4:0. ტურნირში გამარჯვებულის ვინაობას გაარკვევს სსრ კავშირისა და შვეციის ჰოკეისტთა მატჩი, რომელიც დღეს გაიმართება.

● ბოლტონი, 16 იანვარი. ინგლისის ამ ქალაქში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპული ლიგის პირველობის მატჩი ინგლისისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 4:3. ამჟამად სსრ კავშირის წარმომადგენლებს 2 ქულა აქვთ (3-დან).

● სენტ-მორიცი, 16 იანვარი. აქ დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ორადგილიან ბობსლეიში. ოთხი რბოლის ჯამში გამარჯვება მოიხვეჭა გფრ-ის მეორე გუნდმა (ციმერერი, უტშნაიდერი) — 5:09,35. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: გფრ-1 (ფლოტი, ბადერი) — 5.10,07, შვეიცარია-1 (ვიკი, ჰუბაჰერი) — 5.12,01.



# რეკეტიცია მთავარი სტარტების წინ

გეტებორგი, 16 იანვარი. ვენელნა ბეატრის შუბამ კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონის ტახტი. ავსტრიელმა სპორტსმენმა კვლავ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა „სკოლაში". მან უახლოესი მეტოქე 130,6 ქულით ჩამოიტოვა და უპირატესობა ნებისმიერი პროგრამის შემდეგაც შეინარჩუნა. შედეგად შუბას 2708,6 ქულა აქვს (ადგილების ჯამი — 9). ვერცხლის ჯილდო ხვდა იტალიელ ფიგურისტ ქალს რ. ტრაპანეზეს — 2596,4 (22), რომელმაც ერთი ადგილით გააუმჯობესა თავისი შარშანდელი შედეგი.

მაგრამ ყველაზე მეტი ტაში ხვდა 17 წლის ფიგურისტს კარლ-მარქსშტადტიდან (გდრ) სონია მორგენშტერნს, რომელმაც III ადგილი დაიკავა — 2584,5 ქულა (29). ცნობილი მწვრთნელის ი. მიულერის მოწაფემ თითქმის უნაკლოდ შეასრულა სირთულით უნიკალური პროგრამა. უდიდესი აღტაცება გამოიწვია ნახტომმა სამმაგი ბრუნით, რომელსაც ქალებში მორგენშტერნის მეტი ვერავინ აკეთებს. „დილის ვარსკვლავი" (ასე ითარგმნება გერმანულიდან „მორგენშტერნი") ყველაზე მეტად ბრწყინავდა. მან ამ საღამოს ყველაზე მაღალი შეფასებები მიიღო, მათ შორის ერთი მაქსიმალური — 6,0. სავალდებულო პროგრამის შემდეგ მორგენშტერნი VI ადგილზე იყო, მაგრამ ახლა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

— მე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ გაბი ზაიფერტის მემკვიდრეს მიწოდებენ. ამიტომ ვცდილობ გავამართლო ეს შეხედულება, — თქვა მორგენშტერნმა. გაბის დედამ, იუტა მიულერმა დასძინა, რომ ზოგიერთ რამეში სონიამ აჯობა კიდეც მის ქალიშვილს: „სონიამ უკვე რამდენიმე შეჯიბრებაში შეასრულა სამმაგი ნახტომი, გაბიმ კი ეს მხოლოდ ერთხელ სცადა".

მორგენშტერნმა განაცხადა, რომ ოპტიმისტურადაა განწყობილი და ოლიმპიურ სარბიელზე წარმატების იმედი აქვს. მას არ ეშინია ამერიკელი და კანადელი მეტოქეებისა.

ახალგაზრდა ფიგურისტის შანსები კიდევ უფრო გაიზრდება 1 სექტემბრის შემდეგ, როცა ახალ წესებს შემოიღებენ. ეს წესები უპირატესობას მიანიჭებს სპორტსმენებს, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერნი არიან ნებისმიერ ციგურაობაში. ეგრეთ წოდებულ სამჭიდში „სასკოლო" ფიგურების რიცხვი სამამდე შემცირდება. მონაწილენი მუსიკის თანხლებით შეასრულებენ მსაჯების მიერ მიცემულ კომპოზიციას (როგორც წყვილთა სრიალის ოსტატები). შემდეგ ნებისმიერი პროგრამის ჯერი დადგება.

შეიძლება ამიტომაც თქვა შუბამ პრეს-კონფერენციაზე, რომ წლევანდელი სეზონი, როგორც ჩანს, ბოლო იქნება მის სპორტულ კარიერაში...

ლენინგრადელმა ე. ალექსანდროვამ, რომელიც შარშან მერვე იყო, ახლა X ადგილზე გადაინაცვლა. 13 წლის მოსკოველმა მ. სანაიამ XXIII ადგილი დაიკავა. იგი პირველად მონაწილეობდა ასეთ დიდ და საპასუხისმგებლო ტურნირში.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — სპორტულ ცეკვებში გამარჯვებული ა. და ე. ბუკები; მარჯვნივ — ს. მორგენშტერნი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უბერებელი კობა



(დასასრული)

როცა დისტანციაზე ასპარეზობა დამთავრდა, ბრძოლის ველმა კობტა გორაზე გადაინაცვლა, იქ, სადაც სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ მწყობრში ჩადგა 70-მეტრიანი ტრამპლინი. წესი ასეთია: სპორტსმენებს ყველა ტრამპლინზე, ყოველ შეჯიბრებაში ჩასათვლელი ნახტომების შესრულებამდე საცდელი ნახტომის უფლება ეძლევათ. წინასწარი ცდა ყველაზე კარგად სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ (85,5 მ) შეასრულა და ტრამპლინის პირველი რეკორდიც მან დაამყარა.

გადამწყვეტი სერიები დაიწყო. სპორტსმენები თანმიმდევრობით ეშვებოდნენ. პირველივე ცდით დაწინაურდა ბაკურიანის 90-მეტრიანი ტრამპლინის რეკორდსმენი, 18 წლის პერმელი მოთხილამურე ს. ზონტოვი, რომელმაც 83,5 მეტრი აჩვენა. წაქაძე ისევ შესანიშნავად გადახტა, მაგრამ ახლა რეკორდებზე ნადირობის დრო არ იყო. ამიტომ იგი რისკს მოერიდა და 80,5 მეტრი აჩვენა. მესამე შედეგი ჰქონდა პერმელ გ. პუხაჩოვს — 79 მ.

მსოფლიო ჩემპიონი, გორკელი გ. ნაპალკოვი და ოლიმპიური ჩემპიონი, ლენინგრადელი ვ. ბელოუსოვი თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ. ნაპალკოვმა საბოლოოდ IX ადგილი დაისაკუთრა — 216,8 ქულა (74 და 78 მ), ბელოუსოვმა — XI — 215,0 (75,5 და 77 მ). მათ აჯობა ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა მ. გავამაც, რომელიც ჯერ 75,5, შემდეგ 81,5 მეტრზე გადახტა და ორი ცდით 218,3 ქულა დაიმსახურა (VII ადგილი), ეტყობა, გავა, კვლავ კარგ სპორტულ ფორმაში შედის.

საპრიზო ადგილები ორი ცდის შედეგების მიხედვით საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. ზონტოვი — 228,2 (83,5 და 77 მ), 2. წაქაძე— 227,1 (80,8 და 79,5), 3. პუხაჩოვი — 224,2 (79 და 79,5 მ), 4. ს. იანინი (სვერდლოვსკი) — 223,7 (77,5 და 81 მ), 5. ა. ივანიკოვი (მოსკოვი) — 2.22,9 (78 და 77 მ), 6. ვ. სმირნოვი (მოსკოვი) — 220,1 (79 და 76 მ).

მაგრამ მთავარი მოვლენები მაინც კვირას უნდა მომხდარიყო: 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრების შედეგებს საგზურებზე დავისთვის წერტილი უნდა დაესვა. და ამ დღეს ჩვენ ვიხილეთ ისეთი წაქაძე, როგორსაც მის საუკეთესო წლებში ვიცნობდით, ოღონდ უფრო გაბედული, უფრო დინჯი. განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ მას ამ დღეს ვერც ნახტომთა სიშორით, ვერც სტილით ვერავინ მიუახლოვდა. თვითონ განსაჯეთ: წაქაძემ ჩასათვლელი ცდები ბრწყინვალედ შეასრულა — 103,5 და 104,5 მეტრზე იფრინა, 233,5 ქულა მოაგროვა და 23,4 ქულით გაუსწრო ნაპალკოვს, რომელსაც II ადგილი ხვდა წილად. მსოფლიო ჩემპიონი საკმაოდ არასტაბილური იყო (91 და 98). კიდევ ერთი სპორტსმენი გასცდა 200 ქულის ზღვარს. ეს იყო იანინი — 203,8 ქულა (91 და 99 მ). გორკელი ვ. ტერიჩევი IV ადგილს დასჯერდა, მაგრამ მხოლოდ 198,7 ქულა მოაგროვა (92,5 და 93,5 მ).

როცა „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრება დამთავრდა, მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე დაასახელეს სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიურ გუნდში ჩაირიცხნენ. ესენი არიან: კ. წაქაძე, გ. ნაპალკოვი, ი. კალინინი, ს. იანინი და ვ. ჟეგლანოვი. საპოროში მათ საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსება უნდა დაიცვან.

საღამოს კომკავშირულ გამაჯანსაღებელ ბანაკ „თანამგზავრის" კლუბში შეიკრიბნენ ბაკურიანის სტარტების მონაწილენი, რომელთაც მიესალმა და საბჭოთა სპორტსმენების ამოცანებზე ესაუბრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი. დარბაზში ოლიმპიური დროშა შემოაქვთ. შეკრებილებმა ოლიმპიური ფიცი მოისმინეს. იმ სპორტსმენებმა, რომლებმაც უკვე მიიღეს საპოროს საგზური, საპასუხო ფიცი დადეს.

ბაკურიანში შეჯიბრებები გრძელდება.

ვ. ფანჯაკიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ).

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნივ — ვ. დოლგანოვი; მარჯვნივ — გ. კულაკოვა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ბიოგრაფიის კარგი ფურცლები

ეს იყო 1967 წელს. ტურნირმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში ფინალს მიაღწია. ერთმანეთს ხვდებოდნენ ლენინგრადისა და თბილისის გუნდები.

ერთი ქულაც და... თბილისის გუნდი ჩემპიონის სახელს დაისაკუთრებდა, დარჩენილი იყო ერთადერთი შეხვედრა — თეიმურაზ ქურციკიძისა და ლენინგრადელი ივანოვისა. თემურს უნდა მოეგო.

ნერვიულობდნენ ბიჭები. ნერვიულობდა გუნდის მაშინდელი მწვრთნელი გივი კარტოზიაც, გასამხნევებლად მან თემურს ბეჭებზე დაჰკრა ხელი და საჭიდაო ხალიჩისკენ უჩვენა გზა.

თემურმა მოიგო. ჩვენი გუნდი ჩემპიონი გახდა.

უწინ განცდილი სიხარული იმიტომ გავიხსენეთ, რომ თეიმურაზ ქურციკიძემ 1967 წლის 9 ოქტომბერი თავისი სპორტული ცხოვრების ყველაზე კარგ დღედ დაასახელა.

ზოგიერთის ბიოგრაფიაში ღირსსახსოვარი ფურცლები ადრეულ ასაკშივე იწერება. ერთი ამათგანია სპორტის ოსტატი, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ოთხგზის ჩემპიონი თეიმურაზ ქურციკიძე.



დაბადების წელი — 1946.

დაამთავრა ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

თითქოს სულ ეს არის მთავარი.

ოღონდ თემურს მეორე, სპორტული ბიოგრაფიაც აქვს და იგი ასე იწყება:

ოჯახში სამი ძმიდან უფროსი — შალვა ჭიდაობით იყო გატაცებული. თემურს არ იზიდავდა სპორტის ეს სახეობა. 14 წლის ბიჭმა ქალაქის ერთ-ერთ სპორტდარბაზში ტანვარჯიშზე დიწყო სიარული. ქვემო სართულში ჭიდაობაში იწვრთნებოდნენ. თემური ძმას უცდიდა და თან ინტერესით ადევნებდა თვალს კლასიკური ჭიდაობის რთულსა და დახვეწილ ილეთებს. მაშინ პირველად გაუჩნდა სურვილი ამ სახეობაში ეცადა ბედი.

ახალბედას ხელმძღვანელი გახდა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ილია ბოცოხიძე. წარმატებამ არ დააყოვნა. 1961 წელს თემური ქალაქის ჩემპიონია ჭაბუკთა შორის.

1964 წელს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ამ წელსვე საქართველოს ჩემპიონი გახდა და დღემდე ეს ტიტული შვიდჯერ აქვს მოპოვებული.

საქართველოდან სპორტსმენის გზა უფრო დიდ სარბიელზე — საკავშირო ასპარეზზე გავიდა.

1965, 1966, 1969 და 1971 წლებში თეიმურაზ ქურციკიძე „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია კლასიკურ ჭიდაობაში.

შარშან, 29 ოქტომბერს, თ. ქურციკიძემ კიევში გამართულ ტურნირში „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მორიგი ოქროს მედალი მოიპოვა.

თემურის წარმატება ახარებს მის გულშემატკივრებს, ამხანაგებს, მის პატარებს... თემური ოჯახის მამაა... მეუღლე — ლეილა კვიციანი — სპორტის ოსტატია კალათბურთში, საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლის 2 მედლის მფლობელი (1965 და 1966 წლებში). წლეულს იგი პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამთავრებს.

ოთხი წლის ლალის თოჯინები უყვარს ძალიან. კახა — წლინახევრისაა და ჯერჯერობით ყველაზე კარგად ტირილი ეხერხება. არ ვიცით რა გზას აირჩევენ ლალი და კახა, მაგრამ ამ ოჯახს მაინც სპორტული გვინდა ვუწოდოთ.

თეიმურაზ ქურციკიძე სტუდენტთა ქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარეა. იგი თავის თანატოლებსა და უმცროს მეგობრებში ყველა კარგი საქმის თაოსნად ითვლება. თემური უყვართ, სჯერათ მისი და ცოტათი უკვირთ კიდეც — უკვე რამდენი რამე მოუსწრია მათს მეგობარს.

თინა ჩხაიძე.

ს უ რ ა თ ზ ე: თ. ქურციკიძე (მარჯვნივ) 1969 წელს როსტოვის სარბიელზე ხვდება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, მინსკელ კოგანს.

# ახალი ამბები

● **ჩერნიგოვი, 16 იანვარი.** აქ დამთავრდა იუნიორ მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატი. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლენინგრადელმა ოსტატობის კანდიდატმა ა. კოჩიევმა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა. 6,5-6,5 ქულით მომდევნო ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა დ. ლოსევმა (მოსკოვი) და ო. ხალიკიანმა (სომხეთი). გოგონათა შორის ტოლი არ ჰყავდა ჟიტომირელ პირველთანრიგოსანს ნ. გასიუნასს — 7 ქულა 9-დან. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ბელორუსიელი ოსტატობის კანდიდატი ტ. კოსტინა. 6 ქულით III ადგილზეა პირველთანრიგოსანი ტ. ვორონოვა (რსფსრ).

● **ჰასტინგსი, 16 იანვარი.** დამთავრდა საახალწლო საჭადრაკო ტურნირი, რომლის ბოლო ტურში ლენინგრადელმა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა არგენტინელ მ. ნაიდორფთან, ხოლო მისმა თანაქალაქელმა ა. კარპოვმა 56-ე სვლაზე დაამარცხა ინგლისელი პ. მერკლენდი. ამრიგად, ორივე საბჭოთა დიდოსტატმა 11 ქულა დააგროვა 15 შესაძლებლიდან. მათ I-II ადგილები გაიყვეს. 9,5-9,5 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან ბრაზილიელი ე. მეკინგი და რ. ბირნი (აშშ). V-VI ადგილები გაიყვეს იუგოსლაველმა ს. გლიგორიჩმა და ნაიდორფმა — 8,5-8,5, ხოლო VII-VIII — უ. ანდერსონმა (შვეცია) და ვ. უნციკერმა (გფრ) — 8-8.

● **ვეიკ-ან-ზეე, 16 იანვარი.** ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის IV ტურში სსრ კავშირის ჩემპიონი სავონი შავებით დამარცხდა ბრაუნთან. დონერმა მოუგო ხარტოხს, ყაიმზე შეთანხმდნენ: ლანგევეგი — სმეიკალი, ბენკო — პორტიში, ივკოვ-ადორიანი და ლიუბოევიჩ—ჰორტი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა პომარი, რომელსაც 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. ამდენივე ქულა მოაგროვა პორტიშმა. 2,5-2,5 ქულა აქვთ ადორიანს, ბენკოს, ბრაუნს, ივკოვსა და დონერს.

● **ტალინი, 16 იანვარი.** გუშინ აქ დაიწყო ფრენბურთელ ვაჟთა 34-ე ჩემპიონატი. პირველმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: ცსკა—„ბურევესტნიკი" (მოსკოვი) — 3:2, „კალევი" (ტალინი) — „ლოკომოტივი" (კიევი) — 1:3.

● **ხარკოვი, 16 იანვარი.** „ა" კლასის ფრენბურთელ ვაჟთა დანარჩენი გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (დონის როსტოვი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 2:3, „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) — „დინამო" (ირკუტსკი) 3:1.

● **ოდესა, 16 იანვარი.** გუშინ აქ დაიწყო ფრენბურთელ ქალთა XXXIV ჩემპიონატი. ვაჟთა კოლექტივებისგან განსხვავებით, ქალთა გუნდებმა ერთ ქალაქში მოიყარეს თავი. პირველი დღის შეჯიბრების შედეგები ასეთია: ცსკა — „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) 3:0, „ბურევესტნიკი" (ოდესა) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 1:3, „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კრასნოდარი) 3:0, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ნევთჩი" (ბაქო) 0:3.

● **ინცელი, 16 იანვარი.** აქ დამთავრდა მოციგურავე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც გამარჯვება წილად ხვდა ჰოლანდიელ ა. კეილენ-დეელსტრას — 182,805 ქულა. ეს მსოფლიოს ახალი რეკორდია. სსრ კავშირის ახალი რეკორდით II ადგილზე გავიდა ნ. სტატკევიჩი — 183,135. III ადგილზეა ჩემპიონატის დებიუტანტი, საბჭოთა მოციგურავე ლ. სავრულინა — 183,443. მრავალჭიდის ცალკეულ დისტანციებზე გაიმარჯვეს: 500 მეტრზე ლ. ტიტოვამ (სსრ კავშირი) 43,27, 1500 მეტრზე — კეილენ-დეელსტრამ 2.16,67, 1000 მეტრზე ტიტოვამ 1.28,81, ხოლო 3000 მეტრზე სსრ კავშირის ახალი რეკორდით — სტატკევიჩმა — 4.48,83.

# ჯერი ფინალზეა

თბილისში თოვლი მოვიდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ჩვენს დედაქალაქში მოსწავლე ჩოგბურთელთა საკავშირო ზონალური შეჯიბრების ჩატარებას. შეხვედრები მიმდინარეობდა ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზებში. ეს შეჯიბრება ერთ-ერთი იყო 8 ზონალური ასპარეზობიდან, რომლებიც პარალელურად მიმდინარეობდა კუიბიშევში, მინსკში, სევეროდონეცკში, სოჭში, ლენინგრადში, კიევსა და დუშანბეში. დებულების თანახმად, ზონებში გამარჯვებული გუნდები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, რომლის მონაწილენიც ქვეყნის პირველობას გაითამაშებენ მარტის ბოლოს თბილისში.

ჩვენს დედაქალაქში თავი მოიყარეს ბაქოს, როსტოვის, ერევნისა და თბილისის უძლიერესმა მოზარდმა ჩოგბურთელებმა. თითოეულ გუნდში შედიოდა 4 ვაჟი და 4 გოგონა (1954-1959 წლებში დაბადებულნი).

ასპარეზობა წრიული სისტემით ჩატარდა. თბილისელმა მოზარდებმა სამივე შეხვედრა მოიგეს: იოლად დაამარცხეს როსტოველი (8:0) და ბაქოელი (7:1) ჩოგბურთელები, ხოლო ერევნელებთან გაიმარჯვეს ანგარიშით 6:3, დააგროვეს ქულათა მაქსიმალური რაოდენობა და ფინალში გავიდნენ. II ადგილი წილად ხვდათ ერევნელებს, რომლებმაც ერთნაირი ანგარიშით (6:2) დაამარცხეს როსტოვისა და ბაქოს ჩოგბურთელები, ხოლო III ადგილზე გავიდნენ როსტოველები, რომლებმაც შეუპოვარ ბრძოლაში აჯობეს (6:4) ბაქოელებს, ეს უკანასკნელნი ბოლო — IV ადგილს დასჯერდნენ.

თბილისელი ჩოგბურთელებიდან, რომლებიც შეჯიბრებისთვის ი. ელერდაშვილმა მოამზადა, აღნიშვნის ღირსნი არიან: ხ. კეკელია, მ. მარუაშვილი, ლ. და გ. ელერდაშვილები, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეჯიბრება ჩოგბურთისთვის უჩვეულო პირობებში — პარკეტიან იატაკზე ტარდებოდა და ამან ერთობ გაართულა თამაშის პირობები.

ლამარა მგალობლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ვინოკუროვი

## სსრ კავშირის თასის გათამაშება

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა ბარონმა პიერ კუბერტენმა ხატოვნად თქვა: „ოლიმპიადაში მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა". ეს მოსაზრება თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ალბათ არ არსებობს ისეთი სპორტსმენი, რომელსაც ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის საშუალება მიეცეს და გამარჯვებაზე კი არ იფიქროს. ამიტომაა, რომ სპორტსმენები განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან თანამედროვეობის ამ უდიდესი ასპარეზობისთვის. რა თქმა უნდა, ემზადებიან მოფარიკავეებიც, რომლებმაც უკანასკნელ სამ ოლიმპიადაში უძლიერესთა სახელი მოიპოვეს. მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ჩვენს მუშკეტერებს, რათა მიუნხენის ოლიმპიადაში კვლავ დაამტკიცონ, რომ ბადალი არ ჰყავთ მსოფლიოში.

შევახსენებთ, რომ ფარიკაობაში არსებობს უძლიერესი ხუთეულის (ნაკრებში ფარიკაობის ცალკეულ სახეობაში ხუთი სპორტსმენი გამოდის) გამოვლენის თავისებური სისტემა. მოფარიკავე მთელი სეზონის მანძილზე მონაწილეობს შეჯიბრებებში. ბოლოს და ბოლოს მისი გამოსვლები ჯამდება, გათვალისწინებულია ქულების „არითმეტიკა" და სპორტსმენი მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ნაკრების წევრი. ასეთი შეჯიბრებების პირველი და ერთ-ერთი მთავარი ეტაპია სსრ კავშირის თასის გათამაშება.

წლეულს ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მუშკეტერები ასეთ ტურნირში მონაწილეობისთვის ვორონეჟში შეიკრიბნენ. ამ შეჯიბრებამ სტარტი ახლახან აიღო.

ტრადიციულად, ასპარეზობა ხმლით მოფარიკავეებმა დაიწყეს. ესპადრონისტთა შორის ძალზე ძნელია ლიდერის დასახელება, რადგან ამ სახეობაში სულ უფრო და უფრო იგრძნობა ახალგაზრდობის შემოტევა. და მაინც, წლევანდელი თასი გამოცდილმა ლენინგრადელმა ე. ვინოკუროვმა მოიპოვა. ვინოკუროვი უკვე კარგა ხანია გამოდის სსრ კავშირის ნაკრებში. ეს არის სპორტსმენი, რომელიც თანაბრად ძლიერია როგორც ტაქტიკურად, ისე ტექნიკურადაც. რაც მთავარია, მისი ოსტატობა ხიბლავს მაყურებელს. ვინოკუროვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფარიკაობის ესთეტიკურ მხარეს. ამ სწრაფმა და დაუდეგარმა სპორტსმენმა უკვე მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის თასი. II ადგილზე გავიდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მანსკელი ვ. სიდიაკი. შეჯიბრების სენსაცია იყო ახალგაზრდა სარატოველი სპორტსმენის ი. ზემსკოის III ადგილი.

**ფარიკაობა**

# იმედები ვერ გაამართლა

## იუნიორთა რესპუბლიკური შეჯიბრება

საქართველოს იუნიორ მოფარიკავეთა შეჯიბრებაში ესპადრონისტები ურიგოდ არ გამოსულან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით რაპირისტ ვაჟებზე.

ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში რაპირით მოფარიკავეები საგრძნობლად ჩამორჩებიან სხვა სახეობათა წარმომადგენლებს. ასეა უკვე რამდენიმე წელი, ასე იყო ამჯერადაც.

მაგრამ უმჯობესია ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. სარბიელზე 25 სპორტსმენი გამოდიოდა, ამათგან ფინალში რვა გავიდა. მართალი გითხრათ, ფინალისტთა შორის განსაკუთრებულად ვერავის გამოვყოფთ, რადგან მათი ოსტატობა ასე ვთქვათ, თანაბარია. კარგ შედეგს ველოდით ბათუმელ მ. კარტოზიასგან, მაგრამ მან იმედები ვერ გაამართლა. ეს სპორტსმენი უკვე კარგა ხანია გამოდის რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და ხალხთა V სპარტაკიადის მოზრდილთა ნაკრების რეალური კანდიდატი გახლდათ. მაგრამ ახლა კარტოზია იუნიორთა შორისაც ვერ პოულობს ადგილს „მზის ქვეშ". მისი საფარიკაო ხელოვნება ერთობ გაღარიბდა. სპორტსმენს მხოლოდ ერთადერთი ინსტინქტი, მოგების ინსტინქტი ამოძრავებს. მის გამოსვლებში არ იგრძნობა არავითარი ტაქტიკური აზროვნება. რა თქმა უნდა, თუ ერთ-ერთი ლიდერი ასე სუსტად გამოდის, რაღა შეიძლება ითქვას შედარებით გამოუცდელ ახალგაზრდებზე?

თბილისელმა ვ. პაპუაშვილმა I ადგილი დაიკავა, მაგრამ არც მის ბრძოლებში იგრძნობოდა შემართება და მიზანსწრაფულობა, რაც სპორტსმენისთვის აუცილებელი პირობაა მომავალი მწვერვალების დაპყრობისთვის. შედარებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა II ადგილზე გასულმა ზ. მაჩაიძემ. ეს მოფარიკავე, ჯერ სრულიად ახალგაზრდა, გამოირჩევა დიდი სისწრაფითა და ნამდვილი მებრძოლის თვისებებით, ამასთან, მაჩაიძე ცაციაა, რაც ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს მოფარიკავეს. სასიხარულოა, რომ ქუთაისელმა თ. ლატარიამ III ადგილი დაიკავა, თუმცა მისი ტექნიკური მომზადება საკმაოდ მოისუსტებს. და მაინც, ამ შეჯიბრებას აქვს ერთი დამახასიათებელი პირობა, რომელიც გვახარებს: რვა ფინალისტს შორის ამჯერად ქუთაისის, აჭარის, რუსთავისა და აფხაზეთის წარმომადგენლებიც გავიდნენ. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ბოლო წლებში ქართული ფარიკაობის გეოგრაფია ერთობ შეზღუდული იყო.

**ა. ჭვერავა.**

# გახსენება 100 წლისთავზე

რამდენჯერ დაგვინახავს, როგორ იშლება ლაჟვარდში უზარმაზარი ცისფერი, თეთრი, წითელი „ტიტები" — პარაშუტები. დღეს უკვე ჩვეულებრივად ქცეული სიტყვები „პარაშუტი" და „პარაშუტისტი" პირველად ამ 60 წლის წინათ წარმოთქვეს. მსოფლიოში პირველი პარაშუტი შექმნა საბჭოთა ინჟინერმა გლებ კოტელნიკოვმა, რომლის დაბადებიდან 100 წლისთავიც 18 იანვარს სრულდება.

... 1910 წელს დაიღუპა ერთ-ერთი პირველი რუსი მფრინავი, კოტელნიკოვის მეგობარი ლევ მაციევიჩი. ამან გულის სიღრმემდე შესძრა გამომგონებელი. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ეფიქრა მფრინავებისთვის დამხმარე აღჭურვილობის შექმნაზე. კოტელნიკოვმა მიზანს მიაღწია. უკვე ერთი წლის თავზე ახალმა აპარატმა წარმატებით ჩააბარა გამოცდა ჰაერში. მიუხედავად ამისა, მეფის დროს რუსეთის საჰაერო ფლოტს პარაშუტი არ მიუღია.

გამოგონებას მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეესხა ხორცი. კოტელნიკოვი შემდგომშიც ხვეწდა თავის გამოგონებას.

კოტელნიკოვის პარაშუტს მარტო მფრინავები როდი იყენებდნენ. მან ბიძგი მისცა ახალი სახეობის — საპარაშუტო სპორტის შექმნას. დღეს ამ სახეობით საბჭოთა კავშირის ათი ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილია გატაცებული. მათგან საუკეთესონი სამშობლოს ღირსებას საერთაშორისო სარბიელზე იცავენ.

ნაკრებს ოცი წლის მანძილზე ედგა სათავეში სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი პ. სტორჩიენკო. სწორედ მას სთხოვა საკლდესის კორესპონდენტმა ვ. პიმენოვმა ეამბნა საბჭოთა პარაშუტისტთა მნიშვნელოვან მიღწევებზე.

— საბჭოთა პარაშუტისტებს დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე 1954 წელს ჰქონდათ, მეორე მსოფლიო ჩემპიონატში. ეს დებიუტი წარმატებით დამთავრდა — ი. ფედჩინი და ვ. სელივერსტოვი შეჯიბრებიდან გამარჯვებულნი დაბრუნდნენ.

მას შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ 9 მსოფლიო ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და აქედან ნახევარზე მეტი მოიგეს.

საბჭოთა კავშირს ჰყავს ყველა სხვა ქვეყანაზე მეტი — ცხრა აბსოლუტური მსოფლიოს ჩემპიონი. მათ შორის არიან მოსკოველი ნ. პრიახინა, ბარნაულელი ლ. ერიომინა, კიროველი ტ. ვოინოვა, კიეველი ე. ტკაჩენკო, ლენინგრადელი ლ. იაჩმენევი...

150-დან 103 მსოფლიო რეკორდი საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნით. მათი პირველი მიღწევა მსოფლიო რეკორდად 1932 წელს დამტკიცდა. ეს მიღწევა ეკუთვნოდა ნ. ევდოკიმოვს, რომელიც თავისუფალი ვარდნის დროს პარაშუტს 600 მეტრის მანძილზე არ ხსნიდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და რეკორდებიც ახლა ბევრად უფრო შთამაგონებელია. მაგალითად, ევდოკიმოვის მიღწევა თითქმის 50-ჯერ გაუმჯობესდა. ამ ვარჯიშში მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის გმირს ე. ანდრეევს, რომელმაც დაყოვნებით ხტომით თითქმის 25 ათასი მეტრი გადალახა.

და მაინც, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ცხრა საბჭოთა პარაშუტისტის მსოფლიო რეკორდი სსრ კავშირის ნაკრების კაპიტნის ოლეგ კაზაკოვის მეთაურობით. მათ თითქმის შეუძლებელი შეძლეს: ცხრავე ზუსტად წრის ცენტრში დაეშვა 600 მეტრიდან.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ამ მიღწევისა და რეკორდის „თანაავტორი" მუდამ იყო ჩვენი ერთგული პარაშუტი, სწორედ ის კოტელნიკოვის „მაშველი აპარატი", რომელიც ამ წლების მანძილზე, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნიჭიერი საბჭოთა ინჟინრების ძიებისა და გულმოდგინების წყალობით.

**საჰაერო მოგვითხრობს**



# ფარიკაობა — ჩემი სიყვარული



### ნუგზარ ასათიანი

როგორც კი თბილისში ჩამოვედით, მაშინვე გადავათვალიერეთ პრესა. გაზეთების ფურცლებს ამშვენებდა რევაზ ცირეკიძის, იური ოსიპოვის, გურამ კოსტავას, მორის სახვაძისა და სხვათა ფოტოსურათები. სპორტსმენი ყველაფერს ეჩვევა, მით უმეტეს თუ კი იგი მრავალი წლის მანძილზე მონაწილეობს დიდ შეჯიბრებებში, მაგრამ ეს დაფასება ჩვენთვის რამდენადმე უჩვეულო იყო და, რა დასამალია, თანამემამულეთა ყურადღება ყველამ ახლოს მივიტანეთ გულთან. ერთი სიტყვით, ჩვენს წარმატებას დიდი რეზონანსი ჰქონდა არა მარტო სპორტულ წრეებში, არამედ რესპუბლიკის მთელს საზოგადოებრიობაში.

ჩვენ ვცდილობდით ვყოფილიყავით ამ დაფასების ღირსი. ამიტომ გაათკეცებული ძალით ვვარჯიშობდით. მაშინ საქართველოს ნაკრები წვრთნას გადიოდა უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზებში. ვოროშილოვგრადის ჩემპიონატის შემდეგ ასობით ქართველმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა სურვილი გამოთქვა ფარიკაობას გაყოლოდა. ეს იყო ნამდვილი „შემოსევა". ჩვენი პატარა დარბაზი ნიადაგ გადატვირთული იყო. მწვრთნელები ვეღარ აუდიოდნენ ფარიკაობით დაინტერესებული ახალგაზრდების წვრთნას. ერთი ჯგუფი რომ მოამთავრებდა ვარჯიშს, მეორე მოდიოდა, მერე მესამე და ასე შემდეგ. საქმე კურიოზამდეც კი მიდიოდა. მწვრთნელი ბიჭიკო მესხი მომქანცველი ვარჯიშების შემდეგ დარბაზს არ ტოვებდა, იქვე გაიშლიდა ხოლმე სახელდახელოდ „საწოლს" და მომდევნო ვარჯიშამდე თვალს მოატყუებდა. ფარიკაობისთვის თავდადებული ამ შესანიშნავი პედაგოგის ენერგია პირდაპირ განსაცვიფრებელი იყო. მისი მონდომება, თავდადება და პუნქტუალობა მოწაფეებისთვის სანიმუშო გახლდათ. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მესხმა ამდენი საუცხოო სპორტსმენი და მოქალაქე გამოუზარდა რესპუბლიკას.

არანაკლები გამეტებით, მე ვიტყოდი ფანატიზმითაც კი, ავარჯიშებდა ახალგაზრდა მოფარიკავეებს მწვრთნელი შოთა დარასელია. თავის დროზე იგი ჩინებული მოფარიკავე იყო. მას კიდევ შეეძლო წარმატებით გამოსულიყო ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში, მაგრამ უყოყმანოდ დათმო სპორტსმენის კარიერა, რადგანაც იმ პერიოდში ჩვენს ფარიკაობას ჰაერივით სჭირდებოდა კვალიფიციური, საქმეში კარგად ჩახედული მწვრთნელები. უულახდილად უნდა ვთქვა, რომ ბევრი სპორტსმენი ვერ შეძლებს ამის გაკეთებას. პირველივე ნაბიჯი სამწვრთნელო ასპარეზზე შოთასთვის იღბლიანი გამოდგა. მას აღმოაჩნდა პედაგოგის უებარი ნიჭი. იგი წიგნივით კითხულობდა მოწაფეების გულისთქმას. თუკი ბიჭიკო მესხი გულჩათხრობილი კაცის რეპუტაციით არის ცნობილი, შოთა დარასელია ცეცხლოვანი ტემპერამენტით გამოირჩევა. იგი მხიარული, მუდამ მომღიმარი, ამოუწურავი ოპტიმიზმით აღსავსე იყო. შოთა ძალიან უყვარდათ მოწაფეებს, ბოლომდე სჯეროდათ მისი. იმთავითვე „დემოკრატიული" ბუნებით იყო ცნობილი. არავითარ შემთხვევაში მოწაფეს ნაძალადევად თავის შეხედულებებს არ მოახვევდა. პირიქით, ხშირად კამათიც კი მოსდიოდა მასთან. ეს კამათი მეტწილად თეორიული ხასიათისა გახლდათ.

შოთა დარასელია სპორტში მთავარ მნიშვნელობას ტალანტს ანიჭებდა. იგი გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ დიდ სპორტში მხოლოდ თვითნაბადი, მკაფიო ნიჭით დაჯილდოებულნი მიაღწევდნენ თვალსაჩინო წარმატებას. ნიჭი კი, ჩემის აზრით, უაღრესად პირობითი ცნებაა. მახსოვს, ერთხელ კამათის დროს შოთა დარასელიას ერთ-ერთმა მოწაფემ გოგი გოგელიამ ორიგინალური არგუმენტი მოიშველია, რამაც ყველა გაამხიარულა. როგორც ახლა ვიგონებ, გოგელია ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ აზარებდნენ ყაზანის საოპერო სტუდიაში მისაღებ გამოცდებზე შალიაპინი და გორკი. თურმე შალიაპინი გამოცდებზე ჩაჭრილა და საოპერო სტუდიის გარეთ დარჩენილა, გორკი კი უყოყმანოდ მიუღიათ. ასეთი იუმორისტული გადახვევები ალამაზებდა და უფრო უშუალოს ხდიდა მასწავლებლისა და მოწაფეების ურთიერთობას. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ასაკით შოთა მაინც და მაინც არ განსხვავდებოდა თავისი „სამწყსოსაგან".

ვოროშილოვგრადის ჩემპიონატის შემდეგ შოთა დარასელია ცნობილი მწვრთნელი გახდა. ამ ტურნირში გამოდიოდნენ მისი მოწაფეები: რევაზ ცირეკიძე, იური ოსიპოვი, მორის სახვაძე (იმ პერიოდში სახვაძეს დარასელია წვრთნიდა), გოგი და კოტე გოგელიები, ჯონდო მაჭავარიანი, იზოლდა ესაიაშვილი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი და სხვები. სხვათა შორის, ვოროშილოვგრადის ტურნირამდე ერთი წლით ადრე მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზეს შოთას საყვარელმა აღზრდილებმა ცირეკიძემ და ოსიპოვმა.

ბიჭიკო მესხი და შოთა დარასელია მაგნიტივით იზიდავდნენ ფარიკაობით დაინტერესებულ ახალგაზრდობას. ისინი ისეთი ყურადღებით ავარჯიშებდნენ თვითეულ მათგანს, რომ ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, ჩვენ, ძველ მოწაფეებს, ერთგვარი მეშურნეობის გრძნობაც კი გაგვიჩნდა. ეს რა თქმა უნდა, ხუმრობა გახლავთ. სიმართლე კი ის არის, რომ მწვრთნელი კვლავ უკმაყოფილო იყო ჩემით. იგი თვლიდა, რომ ტექნიკურად უკვე საკმაოდ ვიყავი აღჭურვილი. რაც შეეხება მის პრეტენზიებს, ეს უკვე სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების სფეროს განეკუთვნებოდა. გარკვეულ პერიოდში უკვე სავსებით მომზადებულ სპორტსმენსაც კი უჩნდება თავისებური შიშისა თუ კრძალვის გრძნობა აღიარებული ავტორიტეტების მიმართ. მე უკვე ნანახი მყავდა და საბჭოთა ფარიკაობის ზოგიერთ კორიფესთან კიდეც მეფარიკავა და ამიტომ ეს გრძნობა მაშინ თავისით დაიბადა. რაც უფრო ადრე გადალახავს სპორტსმენი ამ ფსიქოლოგიურ ზღუდეს, მით უკეთესი. მაგრამ ამას, კიდევ ვიმეორებ, წლები სჭირდება. მწვრთნელი გამუდმებით ცდილობდა მოეშორებინა ჩემთვის ეს მძიმე ტვირთი.

სურათზე: ი. ოსიპოვი.



დასასრული. იხ. „ლელო" № 6, 7, 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საიდან რამდენი

საპოროს „თეთრი ოლიმპიადის" სტარტამდე 18 დღე დარჩა. უკვე ცნობილია, რომ ზამთრის სპორტის ყველა სახეობაში გამარჯვებისთვის 35 ქვეყნის 1274 სპორტსმენი იბრძოლებს. მათს გარდა საპოროს 505 ოფიციალური პირი ეწვევა, ასე რომ, XI ოლიმპიადის დღეებში თამაშების დედაქალაქში 1779 სტუმარი მოიყრის თავს.

აი, როგორ ნაწილდებიან სპორტსმენები ცალკეულ სახეობებში:

| | ვაჟები | ქალები |
|---|---|---|
| თხილამურებით რბენა | 126 | 55 |
| ხტომები | 75 | — |
| ორჭიდი | 52 | — |
| ბიატლონი | 80 | — |
| სამთო | 120 | 67 |
| ციგურებით სწრაფრბენა | 109 | 64 |
| ფიგურული ციგურაობა | 42 | 41 |
| ჰოკეი | 220 | — |
| ბობსლეი | 115 | — |
| ციგებით დაშვება | 81 | 27 |
| სულ | 1020 | 254 |

ახლა ვნახოთ რომელი ქვეყნები გამოდიან ოლიმპიურ სარბიელზე და როგორია მათი წარმომადგენლობა: ავსტრალია — 9 კაცი (4 ვაჟი, არც ერთი ქალი, 5 ოფიციალური წარმომადგენელი), ავსტრია — 82 (47 ვაჟი, 11 ქალი, 24 ოფიციალური წარმომადგენელი), არგენტინა — 3 (2, 0, 1), აშშ — 163 (94, 29, 40), ახალი ზელანდია — 4 (2, 0, 2), ბელგია — 4 (1, 0, 3), ბულგარეთი — 7 (3, 1, 3), გდრ — 69 (34, 14, 21), გფრ — 141 (84, 21, 36), დიდი ბრიტანეთი — 62 (36, 8, 18), ესპანეთი —9 (3, 1, 5), ირანი — 5 (3, 0, 2), იტალია — 97 (61, 9, 27), იაპონია — 125 (72, 20, 33), იუგოსლავია — 39 (30, 0, 9), კანადა — 75 (33, 21, 21), კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — 14 (0, 8, 6), ლიბანი — 4 (3, 0, 1), ლიხტენშტეინი — 11 (5, 1, 5), მონღოლეთი — 9 (4, 0, 5), ნორვეგია — 117 (68, 18, 31), პოლონეთი — 71 (43, 8, 20), რუმინეთი — 22 (14, 0, 8), საბერძნეთი — 5 (3, 0, 2), საბჭოთა კავშირი — 144 (80, 27, 37), სამხრეთ კორეა — 14 (4, 5, 5), საფრანგეთი — 67 (40, 7, 20), ტაივანი — 15 (8, 1, 6), უნგრეთი — 3 (0, 1, 2), ფილიპინები — 4 (2, 0, 2), ფინეთი — 83 (50, 9, 24), ჩეხოსლოვაკია — 73 (49, 6, 18), შვეცია — 99 (61, 10, 28), შვეიცარია — 99 (65, 9, 25), ჰოლანდია — 31 (12, 9, 10).

### სად, ვინ, როდის?

# მეშვიდე თამაშები

ნორვეგიელთა გამარჯვება ზამთრის VI ოლიმპიადაში თამაშების ისტორიაში მათი უკანასკნელი წარმატება გახლდათ. 1956 წლის „თეთრი ოლიმპიადის" სარბიელზე სსრ კავშირის ნაკრების გამოსვლით მსოფლიოს ამ უდიდესი ღონისძიების მატიანეში ახალი ხანა დაიწყო და დიდების გვირგვინიც კარგა ხნით საბჭოთა სპორტსმენების საკუთრება გახდა.

VII ოლიმპიადა იტალიის პატარა ქალაქ კორტინა დ'ამპეცოში 26 იანვარს დაიწყო და 5 თებერვალს დამთავრდა. პროგრამა ამჯერადაც გადახალისდა: მოთხილამურე ვაჟთა შეჯიბრებაში 18 კილომეტრზე რბენის ნაცვლად 15 და 30 კილომეტრზე რბენა შეიტანეს. ქალთა ასპარეზობის პროგრამას 3×5 კილომეტრზე ესტაფეტა დაემატა.

სათხილამურო რბენებში ბრძოლა ძირითადად ფინეთის, სსრ კავშირის, ნორვეგიისა და შვეციის სპორტსმენებს შორის გაჩაღდა. ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა ვაჟთა შეჯიბრებაში თითო ოქროს მედალი დაისაკუთრეს. 10 კილომეტრზე მორბენალ ქალთა შორის ყველას ლ. კოზირევამ და რ. იეროშინამ (სსრ კავშირი) აჯობეს. სულ რბენებში საბჭოთა მოთხილამურეებმა ოქროს 2, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 3 მედალი დაისაკუთრეს.

სამაგიეროდ, ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები სუსტად გამოვიდნენ ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში. სამთოსათხილამურო სპორტში კი ერთადერთი ე. სიდოროვა გახლდათ, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა—სპეციალურ სლალომში ბრინჯაოს მედალი მიიღო.

ციგურებით სწრაფრბენაში ტურნირი მიზურინის ტბის ყინულზე გაიმართა და ამ სახეობის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა — დამყარდა 41 ეროვნული და ოლიმპიური, 6 მსოფლიო რეკორდი. სსრ კავშირის მოციგურავეებმა 2 მსოფლიო და 3 ოლიმპიური რეკორდი დაამყარეს, 4 ოქროს (ხუთიდან) მედალი მოიპოვეს და მოაგროვეს 44 ქულა, იმდენი, რამდენიც ყველა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ერთად.

კანადელ ჰოკეისტთა მზე კორტინა დ'ამპეცოს ოლიმპიადის სარბიელზე ჩაესვენა. სსრ კავშირის ნაკრებმა აქ ყველა შეხვედრა მოიგო, რითაც ერთდროულად სამი უმაღლესი ტიტული (ოლიმპიადის, მსოფლიოსა და კონტინენტის ჩემპიონობა) დაისაკუთრა.

ფიგურულ ციგურაობასა და ბობსლეიში საბჭოთა კავშირს მონაწილენი არ გამოუყვანია. ფიგურულ ციგურაობაში ყველაზე უკეთ ამერიკელებმა იასპარეზეს, ბობსლეიში კი იტალიისა და შვეიცარიის გუნდებმა.

პირად ტურნირში თამაშების გმირი იყო 23 წლის ავსტრიელი სამთომოთხილამურე ტონი ზაილერი, რომელმაც ოლიმპიადის სამივე ოქროს მედალი მოიგო და სამთო სამჭიდში მსოფლიო ჩემპიონობაც მოიპოვა. იგი პირველი სპორტსმენი გახლდათ, ვინც სამთოსათხილამურო სპორტის ისტორიაში ასეთ დიდ წარმატებას მიაღწია.

ნორვეგიელებმა დიდი მარცხი იწვნიეს „მფრინავ მოთხილამურეთა" ტურნირშიც, რომელიც მათ აქამდე არასოდეს წაუგიათ, ახლა კი ამ ქვეყნის წარმომადგენელი საპრიზო ექვსეულშიც ვერ მოხვდა. თხილამურებით მორბენლებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდნენ ფინელი ვ. ჰაკულინენი (მან ოსლოს ოლიმპიადაში 50 კმ-ზე რბენა მოიგო), რომელმაც სხვადასხვა დისტანციაზე I, II და IV ადგილები დაიკავა, და შვედი ს. ერნბერგი, რომელმაც ერთი ოქროსი და ორი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ნორვეგიელებიდან ქების ღირსია მხოლოდ ჰ. ბრენდენი. მან ოსლოში 18 კილომეტრზე რბენა მოიგო, VII თამაშებში კი 15 კილომეტრზე იმარჯვა. მოციგურავეებში ბადალი არ ჰყავდა ე. გრიშინს (სსრ კავშირი), რომელმაც 2 ოქროს მედალი დაისაკუთრა.

სსრ კავშირის სპორტსმენებს ოლიმპიადის არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში ბადალი არ ჰყავდათ. მათ 103 ქულა მოიხვეჭეს, მაშინ, როცა II ადგილზე გასულმა ავსტრიელებმა 66,5, ხოლო III ადგილის მფლობელმა ფინელებმა 57 ქულა მოაგროვეს. წინა ოლიმპიადის გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულმა ნორვეგიელებმა VII ადგილზე გადაინაცვლეს, ამერიკელები კი, რომლებიც ოსლოში მეორენი იყვნენ, კორტინა დ'ამპეცოში VI ადგილს დასჯერდნენ.

გავაცნობთ VII ოლიმპიადის ლაურეატებს.

**სათხილამურო სპორტი.** ვაჟები. რბოლა. 15 კმ. ჰ. ბრენდენი (ნორვეგია)—49.49,0. **30 კმ.** ვ. ჰაკულინენი (ფინეთი) — 1:44.06. **50 კმ.** ს. ერნბერგი (შვეცია) — 2:50.27. **ესტაფეტა 4×10 კმ.** სსრ კავშირი (ფ. ტერენტიევი, პ. კოლჩინი, ნ. ანიკინი, ვ. კუზინი). **ტრამპლინიდან ხტომა.** ა. ჰივიარინენი (ფინეთი). **ორჭიდი.** ს. სტენერსენი (ნორვეგია). **ქალები. რბოლა. 10 კმ.** ლ. კოზირევა (სსრ კავშირი) — 38.11,0. **ესტაფეტა 3×5 კმ.** ფინეთი (ე. პოლკუნენი, მ. პიეტა, ა. ჰენი, ს. რანტანენი).

**სამთოსათხილამურო სპორტი.** ვაჟები. **სწრაფდაშვება.** ტ. ზაილერი (ავსტრია)—2.52,5. **სლალომი.** ზაილერი — 1.54,7. **გიგანტური სლალომი.** ზაილერი—3.00,1. **ქალები. სწრაფდაშვება.** მ. ბერტოდი (შვეიცარია). **სლალომი.** რ. კოლიარი (შვეიცარია). **გიგანტური სლალომი.** ო. რეიჰერტი (გფრ).

**ფიგურული ციგურაობა.** ვაჟები. ჰ. ჯენკინსი (აშშ). **ქალები.** ტ. ოლბრაიტი (აშშ). **წყვილთა.** ე. შვარცი-კ. ოპელტი (ავსტრია).

**ციგურებით სწრაფრბენა. 500 მ და 1500 მ.** ე. გრიშინი (სსრ კავშირი). **5000 მ.** ბ. შილკოვი (სსრ კავშირი). **10000 მ.** ს. ერიქსონი (შვეცია).

**ბობსლეი. ორადგილიანი.** იტალია (ბ. დელა-კოსტა, ტ. კონტი). **ოთხადგილიანი.** შვეიცარია (კაპიუსი, დინერი, ალტი, ანგსტი).

**ჰოკეი.** 1. სსრ კავშირი, 2. აშშ, 3. კანადა.

მედლები ასე განაწილდა:

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 3 | 6 |
| ავსტრია | 4 | 3 | 4 |
| ფინეთი | 3 | 3 | 1 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 |
| შვეცია | 2 | 4 | 4 |
| აშშ | 2 | 3 | 2 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 1 |
| იტალია | 1 | 2 | — |
| გფრ | 1 | — | 1 |
| იაპონია | — | 1 | — |
| კანადა | — | — | 4 |
| პოლონეთი | — | — | 1 |
| უნგრეთი | — | — | 1 |



ტ. ზაილერი.



ე. გრიშინი.




ვ. ჰაკულინენი

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## იტალიელები არ ითამაშებენ

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ აცნობა „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატის" საორგანიზაციო კომიტეტს, რომ „სკუადრა აძურა" ვერ ჩავა ბრაზილიაში. ამას იტალიელები იმით ხსნიან, რომ ბრაზილიის დიდი საერთაშორისო ტურნირი ემთხვევა ევროპის პირველობას, სადაც იტალიელებმა ჩემპიონის წოდება უნდა დაიცვან.

„მსოფლიოს მცირე ჩემპიონატის" ორგანიზატორების წინადადებაზე, რამდენადმე გადაეწიათ ტურნირი, იტალიელებმა უპასუხეს, რომ ისინი ვერც ივლისში მოახერხებენ თამაშს, რადგან ამ თვეში ისინი ჩვეულებრივ ფეხბურთელებს ითხოვენ ხოლმე.

## ჯილდოები დაარიგეს

პარიზის ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი", რომელიც „ოქროს ბურთსა" და „ოქროს ბუცს" ანიჭებს, არც საკუთარ ფეხბურთელებს ივიწყებს ხოლმე.

ამ დღეებში რედაქციამ გამოაცხადა, რომ ჟურნალის მიერ საფრანგეთის № 1 ფეხბურთელად ცნობილია „ოლიმპიკის" (მარსელი) მეკარე კარნიუ. სპეციალური ჯილდო „საფრანგეთში მოთამაშე უძლიერესი უცხოელისათვის" მიენიჭა სკობლარს (იუგოსლავია), რომელიც ასევე „ოლიმპიკში" გამოდის. საუკეთესო მწვრთნელებად ცნობილნი არიან ფიროუ („ნიმი") და პრუფი („რესი"), გუნდის საუკეთესო „ტექნიკურ ხელმძღვანელად" — წარსულში სახელოვანი სნაიპერი ფონტენი.




◆ **ვეიკ-ან-ზეე,** 17 იანვარი. ჰოლანდიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის V ტურში სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. სავონი და დიდოსტატი ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) ყაიმზე შეთანხმდნენ. ვ. სმისლოვისა და ი. სმეიკალის (ჩეხოსლოვაკია) პარტია გადაიდო.

◆ **ვორონეჟი,** 17 იანვარი. საბჭოთა მოფარიკავეთა პირველ ოლიმპიადისწინა ტურნირში სსრ კავშირის თასზე რაპირისტ ქალთა ასპარეზობა მოიგო ოლიმპიურმა და სსრ კავშირის ჩემპიონმა ე. ბელოვამ. II ადგილზეა ტალინელი ს. ჩირკოვა, III — მოსკოველი ა. ზაბელინა. სამივენი მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის მონაწილენი არიან. ფინალური ტურნირი ე. ბელოვას დიდი უპირატესობით წარიმართა. მან 6 შეხვედრა მოიგო.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

# 20-24 იანვარი, ბაკურიანი

